შპს თეგეტა აკადემია
TEGETA ACADEMY LTD

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

№ 00000387

22/08/2022

ბრძანება №387

შპს „თეგეტა აკადემიის“სწავლის საფასურის განსაზღვრის, გადახდის, განაწილებისა და შემცირების წესის“
ახალი რედაქციისდამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამტკიცებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლებისა და
შპს „თეგეტა აკადემიის“ სწავლის საფასურის განსაზღვრის, გადახდის, განაწილებისა და შემცირების წესის “ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გაუქმდეს შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის 15/08/2018 წლის NO9 ბრძანება და შპს „თეგეტა აკადემიის“ სწავლის საფასურის განსაზღვრის, გადახდის, განაწილებისა და შემცირების წესი“ დამტკიცდეს ახალი რედაქციით, წინამდებრე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. დაევალოს აკადემიის საქმისწარმოების მენეჯერს, ნინო თუზბაიას, წინამდებრე ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
ოხანაშვილი ნინო

საქართველო, 0131 ქ.თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-129 კმ,
ტელეფონი: +995 32 226 44 46
info@tegetaacademy.ge
www.tegetaacademy.edu.ge

საბანკო რეკვიზიტები:
"TBC-ბანკი"
SWIFT: TBCBGE22
ა/ა GE91TB7543236080100008
მიმღები: შპს "თეგეტა აკადემია"
საინდ/კოდი: 405237122

129 km, D.Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia.
Tel: +995 32 226 44 46
info@tegetaacademy.ge
www.tegetaacademy.edu.ge

Beneficiary's Bank: TBC BANK
11. Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi. Georgia
SWIFT: TBCBGE22
BEN'S IBAN: GE58TB7543236120100007
NAME OF BENEFICIARY: TEGETA ACADEMY LLC

შპს „თეგეტა აკადემიის“

სწავლის საფასურის განსაზღვრის, გადახდისა და განაწილებისა წესი

ქ. თბილისი

2022 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი ადგენს შპს „თეგეტა აკადემიაში“ (შემდგომში - „აკადემია“) სწავლის საფასურის ოდენობას, მისი გადახდისა და განაწილების წესს.
2. წინამდებარე წესის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ 2022 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.

მუხლი 2. სწავლის საფასურის ოდენობა და გადახდის წესი

1. სწავლის საფასური არის აკადემიის მიერ დადგენილი გადასახდელი, რომელსაც პროფესიული სტუდენტი (ან მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) იხდის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის.
2. აკადემიის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს მოდულურ/დუალურ პროგრამებს, წინამდებარე ბრძანების მიღების მომენტისათვის აღნიშნული პროგრამები ხვდება მინისტრის 2022 წლის 11 იანვრის MES 1 22 0000011163 ბრძანებით დადგენილი 2022 წლის პრიორიტეტების სიაში და შესაბამისად, მათზე ვრცელდება სახელმწიფოს მხრიდან მოდულების ვაუჩერული დაფინანსების წესები, სწავლის საფასურის ოდენობა პროგრამების მიხედვით განისაზღვრება შედეგნაირად:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	**საფასურის ოდენობა**
ძრავის შეკეთება	განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 19/09/2013 წლის N244 დადგენილების №3 დანართით განსაზღვრული შესაბამისი მოდულების საფასურის (შემდგომში – მოდულის საფასური) ჯამური ღირებულებით.
სავალი ნაწილის შეკეთების	განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 19/09/2013 წლის N244 დადგენილების №3 დანართით განსაზღვრული შესაბამისი მოდულების საფასურის ჯამური ღირებულებით.
ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების	განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 19/09/2013 წლის N244 დადგენილების შესაბამისად, №3 დანართით განსაზღვრული შესაბამისი მოდულების საფასურის ღირებულებიდან ამავე დადგენილების 8[1] მუხლის თანახმად დაანგარიშებული, მხოლოდ აკადემიაში მისაღწევი სწავლის შედეგების ღირებულებათა ჯამით.

3. სტუდენტი ვალდებულია სწავლის საფასურის ის ნაწილი, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაიხადოს წინამდებარე დოკუმენტითა და პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და ვადების შესაბამისად.
4. სწავლის საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შპს „თეგეტა აკადემიის“ საბანკო ანგარიშზე. ანგარიშის რეკვიზიტები მიეთითება სასწავლო ხელშეკრულებაში.

5. აკადემია უფლებამოსილია, დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტები გაათავისუფლოს სწავლის გადასახადის იმ ნაწილისაგან, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფო დაფინანსებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 3. სწავლის საფასურის განაწილება

1. პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდა. ასეთ შემთხვევებს განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის დირექტორი, პროფესიული სტუდენტის დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე.
2. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ან მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ დაირღვევა სწავლის საფასურის ეტაპობრივი გადახდის გრაფიკი, აკადემიას უფლება აქვს მოსთხოვოს მას სწავლის საფასურის დარჩენილი ოდენობის ერთიანად გადახდა.

მუხლი 4. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შედეგები

1. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
2. შეჩერებისთვის დადგენილი მაქსიმალური ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პირს შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. პროფესიულ სტუდენტს, სტატუსის შეჩერების შემთხვევაში გადახდილი თანხა არ უბრუნდება, თუმცა სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში;
4. სწავლის საფასურის გადაუხდელობის ან სხვა საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური უკან არ დაუბრუნდება;
5. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეუწყდება სტუდენტის სტატუსი, ვალდებულია გადაიხადოს მასზე დარიცხული ფინანსური დავალიანება.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.
2. წინამდებარე წესის გაუქმება და მასში ცვილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.